ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N10

2019 წლის 25 ნოემბერი

ქ.ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N34 დადგენილებაში (სსმ 05/07/2018 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250040.35.131.016256) შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატება:

მუხლი 2.

შევიდეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული 28-ე მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისია ვალდებულია საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, ან საკრებულოს ბიუროს დავალებით, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა და განიხილოს საკითხი.“.

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებულ 145-ე მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილმა პირმა გაწეული საქმიანობის შესახებ საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში.“.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი